

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 ტ 8494 2 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიების ერთობლივი №6 სხდომის დასკვნა

2011 წლის 29 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის პრიორიტეტების დოკუმენტების პროექტების განხილვის შესახებ“.
3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ“.

4. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალური პროგრამების პროექტების განხილვის შესახებ”.

5. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების პროექტების განხილვის შესახებ”.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ გამოითქვა შემდეგი შენიშვნები:

- ჰოკეისტების ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ხარჯები (1500 ლარი) სუფსიდირების წესით გადაეცეს სპორტულ ცენტრს.
- მოსწავლეთა ექსკურსიებზე ტრანსპორტირების პროგრამის შემთხვევაში თანხების ჩარიცხვა მოხდეს უშუალოდ სკოლისათვის, სუფსიდირების გზით.
- ბავშვთა საფეხბურთო სკოლას დაემატოს ხარჯების თანხა 30000 ოდენობით. მაწანწალა ძაღლების ლიკვიდაციის ღონისძიებები განთავსდეს დასუფთავების სატენდერო წინადადებასთან ერთად და ისე განხორციელდეს შესყიდვა.
- ცვლილება შევიდეს საფინანსო სამსახურის წესდებაში და სამსახურთან შეიქმნას აუდიტის განყოფილება.
- მომდევნო წლის ბიუჯეტში დაიგეგმოს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე პუნქტებით გათვალისწინებული თანხები, კერძოდ მოხელეს, რომელიც ცვლის სხვა მოხელეს თავისი ხელფასის გარდა მიეცეს სხვაობის დანამატი არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ხოლო თუ არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგო ნაკლებია შემცვლელის თანამდებობრივ სარგოზე, მაშინ შემცვლელ მოხელეს უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო.
- ვალოდია წულაძის სახელობის სახლ-მუზეუმის შესაკეთებლად გამოიყოს 3500 ლარი.
- ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ღრმადელის საბავშვო ბაღში ერთი ჯგუფის დამატებისათვის საჭირო თანხები.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით გადაეცეს 2011 წლის 6 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის პრიორიტეტების დოკუმენტების პროექტების ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება პრიორიტეტების დოკუმენტების პროექტები წარმოდგენილი სახით გადაეცეს 2011 წლის 6 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის პროექტის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს 2011 წლის 6 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალური პროგრამების პროექტების ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება პროექტები წარმოდგენილი სახით გადაეცეს 2011 წლის 6 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების პროექტების ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის მუხუთე საკითხის მიმართ კომისიების წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

დღის წესრიგის მუხუთე საკითხი დაყენებული იქნა კენჭისყრაზე.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების პროექტები მიღებულ იქნას შენიშვნების გარეშე და გადაეცეს საკრებულოს ბიუროს 2011 წლის 6 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

ინფრასტრუქტურის კომისიიდან

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიიდან

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი


გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიიდან

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი

სხვადასხვა - ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი დასვა საკითხი უახლოეს პერიოდში მოხდეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპულ პირთა მემორიალისათვის ადგილის შერჩევა.


ამით სხდომამ მუშაობა დაამთავრა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე  მ. წილოსანი


ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე



ი. გვარჯალაძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და

აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე  გ. ორაგველიძე